THE MEMBER OF PSP GROUP

№788/02-01 14 თებერვალი 2019 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „პსპ ფარმას"** (ს/კ: 202203123) დირექტორი ვაჟა ოქრიაშვილი (პ/ნ:15001003000) წინამდებარე მინდობილობით, შემდგომში „მინდობილობა", ვანიჭებ უფლებამოსილებას **ნოდარ სიხარულიძეს (პ/ნ: 01024087515)** შემდგომში „მინდობილ პირი", წარმოადგინოს შპს"პსპ ფარმა" - შემდგომში „მინდობილობის გამცემი" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ნებისმიერ სამსახურთან,მათ შორის, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, სსიპ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურთან.

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია „მინდობილობის გამცემის" სახელით „მინდობილობის გამცემის" საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები: წარადგინოს (მათ შორის, ატვირთოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ელექტრონული სახით) მიიღოს, ნახოს და ხელი მოაწეროს (მათ შორის განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა) ნებისმიერ დოკუმენტაციას/განცხადებას, რაც დაკავშირებულია მინდობილობის გამცემისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან/მიღებასთან, არქიტექტურული/სამშენებლო პროექტების, ყველა კლასის შენობა-ნაგებობის მოწყობის, დემონტაჟის, რეკონტრუქციის, მათ შორის, შენობის-ფასადზე აბრისა და რეკლამის განთავსების სამუშაოების შეთანხმებასთან შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან.

„მინდობილ პირს" გააჩნია უფლებამოსილება წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედებები, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ მინდობილობაში და საჭიროა მინდობილობით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 1 იანვრამდე.

შპს"პსპ ფარმას" დირექტორი: /ვაჟა ოქრიაშვილი/

შპს "პსპ-ფარმა"
202203123
"PSP-Pharma"
დ.აღმაშენებლის 148/III